# იმერეთი

№ 18

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია

გაზ. „იმერეთი“

ოთხშაბათი 28 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., ... კიდევ ნაწილ-ნაწილად. სახლვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლ... 7 მან., თვიურად 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე შიგნეულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



**დაობლებული გვარი თ-დ წერეთლებისა აცნობებს მთელს საქართველოს, მისის**

## სიამაყის, დიდებული აკაკის დაკარგვას.

პანაშვიდები ყოველდღე დ. საჩხერეში.

---

კნიაგინა **ანნა როსტომ წერეთლის** ასული და კნეინა **ანნა ალექსანდრეს ასული დადეშქელიანისა მეუღლითა** და **შვილებით** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებას დ. საჩხერეში თავის ოჯახში 26 ამა იანვარს, ღამის პირველ საათზე, პირველის უძვირფასესის ძმის და უკანასკნელთა ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძის

## თ-დ აკაკი როსტომის ძის წერეთლისას.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1—24

---

ღრმათ დამწუხრებულნი **მეუღლე** და **შვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვლებას დ. საჩხერეში 26 იანვრის ღამეს მძიმე ავთმყოფობის შემდეგ მათ მიერ გალმერთებულისა და დაუვიწყარის ქმრისა და მამის

## თ-დ აკაკი როსტომის ძის წერეთლისას.

დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

**დიდებულის მგოსნის აკაკის დასაფლავების საორგანიზაციო კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ დ. საჩხერეს, საკუთარს სახლში, 25 იანვარს, ღამის 1 საათზე გადაიცვალა

## საქართველოს სიამაყე დიდებული მგოსანი

# აკაკი.

განსვენებულის სულის მოსახსენებლათ დანიშნულია პანაშვიდი ოთხშაბათს, 28 იანვარს, ნაშუადღეევს 1 საათ. ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

---

უზომოთ მწუხარებასა შინა მყოფნი ჭირისუფალნი: ევგენი იაკობის ძე ნიშნინაძე და მეუღლე მისი ეკატერინე ალექსის ასული და ძენი და ასულნი მათნი: კოსტანტინე, ოლღა, ქსენია და აკაკი; იაკობ დავითის ძე ნიშნინაძე და მეუღლე მისი მზეა სიკოს ასული; ვ ორლამ დავითის ძე შოთაძე და მეუღლე მისი თეკლე იაკობის ასული; ალექსანდრე ვარლამის ძე შოთაძე და მეუღლე მისი ევა ევგენის ასული; ლევან იულონის ძე იაშვილი და მეუღლე მისი ვარვარა ევგენის ასული გულითადი მწუხარებით გაუწყებენ გარდაცვლებასა პირველნი: დაუვიწყარისა ასულისა მათისა; მეორენი: ძვირფასისა ძისა მათისა; მესამენი: შვილი შვილისა მათისა; მეოთხენი: ძმისწულისა მათისა; მეხუთენი და მეექვსენი ცოლის ძისა და ძისა მათისა:

**ლიუბა ევგენის ასულს ნიშნიანიძისას,**

უმორჩილესად გთხოვენ რათა პატივი სცეთ და დანიშნულ დროს მიცვალებულის გამოსვენებას ამა იანვრის 29-ს, ღამით ხუთშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე, საფიჩხის ეკლესიაზე, საეკლესიო სახლიდან, დაკრძალვა საღორის სასაფლაოზე.

1—1—25

---

მოვდელი ისიდორე ივანეს ძე დოღონაძე ოჯახობით, დიაკონი ტარასი ივანეს ძე შვილებით და თეკლე ივანეს ასული კანდელაკისა ქმარშვილით გულის-ტკივილით აუწყებს ქუთაისის პატიცემულ საზოგადოებას, რომ 25-ს იანვარს ხან-მოკლე ავთმყოფობის შემდეგ გადაიცვალა მათი უძვირფასესი მამა

**მღვდელი იოანე დავითის-ძე დოღონაძე,**

რომლის პანაშვიდებიც დანიშნულია ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, საფიჩხის ამაღლების ეკლესიაში, ხოლო გასვენება ხუთშაბათს, დილის ათ საათზე სოფელ გოდოგანში, და სახოვენ ნუგეში სცეს თავის დასწრებით მწუხარებაში მყოფ ჭირისუფალთ.

1—1—26


### ქუთაისი, 28 იანვარი.

... არის ხოლმე ისეთი წუთები ადამიანის სიცოცხლეში, როდესაც გული და გონება აღარ ემორჩილება და დგუბებული გრძნობა სიმწარისა, მწუხარებისა, უიმედობისა და სიღუხჭირისა ნაკადულათ ღა გადმოდის თვალთაგან.

ასეთ მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენც!

აღარა გვყავს აკაკი!

დაიმსხვრა საყვარი იერ!ონისა, ფერფლად იქცა იერემია საქართველოისა!

ბუნებამ,—გულგრილმა და უღმობელმა ბუნებამ,—თავისი წესი შეასრულა. მოგვეტაცა პირველი პირველთა შორის და დაგვტოვა ცისა და დედამიწის ანაბარათ.

აღარა გვყავს ქურუმი ქართულის პოეზიისა, დადუმდა ქნარი მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვა-კაბმულობისა,—დაშრა ზღვა მშობლიური სწორმეტყველებისა!

გვინდა დავიფასოთ ამაგი დიდებულის მგოსნისა, გვსურს დავხატოთ სურათი მეცხრამეტე საუკუნის შოთა რუსთაველისა, მაგრამ...

განა ზღვა კოეზით დაილევის, ან იალბუზი ხელში აიღების?

ვგრძნობთ რა ჩვენ სისუსტეს, გაშტერებთ ვსდგევართ ამ ბუმბერაზის წინაშე, განცვიფრებით შევყურებთ მის მაღალ, ღვთაებრივ შუბლს და ვმადლობთ შემომქმედს, რომ მოგვეც საშვილიშვილო სიამაყე, საშვილიშვილო სამუთი საქართველოის ფიქრთა და გრძნობათა ძლიერებისა და უძლეველობისა!

მუხლს ვიდრეკთ ამ ძლიერების წინაშე და ლოცვად განშუნდებულნი ვსდუმვართ, დუმილითა უკვდავებისათა და აღვსილი ვართ სურვილითა დაუსრულებელის ოცნებისათა!...

**იპ ეკალაძე.**

---

## აკაკი და მისი მშობლები.

აკაკის ქართველი საზოგადოება და ხალხი, აგრეთვე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა აღფრთოვნებს. ქართველი მანდილოსნებიც ჭისდამი ღრმა სიყვარულითა და უზომო პატივისცემით არიან გამსჭვალული. მკაცრი და ულმობელი კრიტიკა ვერ უპოვის მას და მის ნაწარმოებს ვერავითარ ნაკლს, ვერავითარ ხინჯს ამ დიდათ მოსიყვარულე გულის, იშვიათი ტემპერამენტის პატრონს, ივერიელს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა და იღწვის დღესაც ეკლით და ნარით მოფენილს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

აკაკი გასული საუკუნის სამოცდაწლების მწერალთა გუნდს ეკუთნის და ამ მწერალთა შორის მას უპირავს უპირველესი ადგილი. ვითარცა ლირიკოსი, იმას საქართველოში ბადალი არა ყავს და თავის შესანიშნავი ტალანტით, სიღრმით, ძლიერებითა და სინაზით მას უთანასწორდებიან მხოლოდ ორი დიდი ევროპელი—შოთა რუსთველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

როგორც პროზაიკი, აკაკი ძალიან დიდ მხატვარია ცხოვრების, ადამიანთა სულისა და გულის ღრმა მცოდნე და ყველგან თავის ნაწარმოებში იძლევა და ხატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ყველგან და ყოველთვის.

აკაკი წმინდა, ნამდვილი, ხალასი რეალისტია. ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაქტს იგი უფურებს პირდაპირ, წინდაწინვე დაუმზადებელის აზრით და ხატავს ამ ფაქტს გაუზვიადებლათ სწორეთ ისე, როგორი შეხვედრილებაც ამ ფაქტმა მოახდინა მასზე, რასაკვირველია, საკუთარი შემოქმედებითი ტალანტის განცდით. მგოსანი-მხატვარი ყოველთვის თავის სურვილებს და იდეალებს, თვისი გრძნობა-გონების ძალებს უთანხმებს ცხოვრების ფაქტებს ხოლმე და ასე ქმნის იგი თვის ნაწარმოებს. ამასთანავე ზომიერება არსად არ ღალატობს აკაკის და, ამიტომაც, იმისი ნამოქმედარი არას დროს არა ღრის ადამიანს. პირიქით, იწვევს სიცოცხლეს, ხალისს და სიამის მომგვრელ ნეტარებას. ამიტომაც, ქართველ მწერალთა შორის აკაკის, მიუცილებლათ, უპირველესი ადგილი უჭირავს და დიდათ თავმოსაწონებელი მწერალი-მოღვაწის სახელიც აქვს გავარდნილი ქართულს, რუსულს, სომხურს, პოლონურს და საზღვარგარეთულ ლიტერატურაშიაც...

აკაკი დაიბადა დაბა საჩხერეში „გიერმატი ხევისწყლის ჩიხურას პირათ მდებარე ორ სართულიან ქვიტკირის სახლში*) 1839 წელს, 9 ივნისს, განთიადისას. მგოსანი ამბობს, რომ ნათქვამია: ადამის შვილი გაჩნდება თუ არა ქვეყნათ, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იქედგამა, წინაწარის ზედწარწერითო! თუ ეს მართალია, ეუბი არ არის, რომ ჩვს ვარსკვლავზე შემდეგი შაირი წერებულა:

ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის-კი კაი ჯორსაო“.

მამა მგოსნისა, თავ. როსტომ წერეთელი, შინა კაცათ იყო გაზდილი და მარტო ის იცოდა, რაც მის დედას ესწავლებინა. მთელ მის სიცოცხლეში თვითნებობა და ახირებულობა ზნეთ ქონდა გადაქცეული. ძალიან სტუდა ნადირობა, ეჯავრებოდა აქით-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა. ხშირათ ამბობდა ხოლმე. „აკაცი სიშვიდისა და მოსვენებისთვის არის გაჩენილიო.“ არც თვითონ შრომობდა, არც სხვას აწუხებდა, უყვარდა ძილი, პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგთ, ღონივრათ ჭამა და იმას იძახდა: „არიქა, მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას საყოფათ აკმეთო“. ბუნებით ნამეტანი კეთილი იყო, შური და ბოროტება, არ ესმოდა, რა იყო; მარა უცბათ გულის მოსვლა კი უბრალო რამეზეც იცოდა.

თვით აკაკიმ ორი კალმის მოსმით, ძლიერი კეთილხელი მარჯვენა ხელის ერთი გაქნევით დახატა მთელი ტიპი მაშინდელი თავდიდშვილისა, რომლის ბადალიც ჩვენს ლიტერატურაში არ მოიძებნება. აქ არის თქვენ წინ დახატული მთელი მაშინდელი სიცოცხლით სავსე, დიდათ გულკეთილი, თან ეშმაკიტი, დაუშრეტელი, მჭეფარი და მხიარული კილო როსტომ წერეთლის იუმორისა. ჩვენი დიდი მგოსნის ეს პროზაული ნაწარმოები არის ფიდი და ღრმა ეშმაკიტი და გულწრფელი მშვენიერი დახატვა ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, რომელიც ასე გვენათესავება და ახლოა ჩვენზე, ყველა ქართველზე...*)

დედა მგოსნისა იყო დიდი ძველებური ოჯახის ასული. 1820 წელს, რუსის ეგსარხოსის დროს, ქუთაელი და გენთელი რომ დაპატიჟრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურათ ითვლებოდა დიდი ივანე აბაშიძე, ახალციხეს მოკლული. ეს ივანე აბაშიძე დიდი სოლომონ პირველის მეფის ასულის დარეჯანის შვილი იყო და ესმა მგოსნის დედისა. აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს, ივანე აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვეთ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, დევიძლი ძმა იყო ივანე აბაშიძის ცოლის. მამია გურიელი გამოესარჩლა დასა და დისწულებს, მთავრობასთან ეშუამდგომლა და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვეფისა, უკანვე დაბრუნეს ჯზიდან. ივანე აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მარა ესმა და მამული ჩამორთმეული დაუბრუნდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ არა ქონდათ, გურიის მთავარმა—მამიამ გადაიყვანა და ცდილობდა იმათი უზომო მწუხარების გაქარვებას. ყველაზე უფრო, თურმე, დასვდიანდა ჩვენი მგოსნის დედა, რომელიც იმ დროს 12—13 წლისა იქნებოდა. იმას, თურმე, სულ დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავით ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც ყოველისფრათ შესანიშნავ ბავშს. მამია გურიელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მგოსნის დიდათ ნიჭიერს დედას. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდ ოჯახებში, მამია გურიელის სასახლეშიაც თითქმის შინაკაცებთან ითვლებოდენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაც ქონდათ ოჯახებზე...

ამ განათლებულმა ფრანგის პატრებმა აკაკის დედაზე დიდი ზეგმოქმედება ჰქონდა. ... ... ...

# აკაკის გარდაცვალების გამო.

1.

მყინვარი სირმის თეირი თმით ჯალარათ უხუცესია,
შავ ღრუბლის ლეჩაქს იბურავს ვით მგლოვიარეთ წესია.
სამშობლოს ცისკრის მოიბმა სხივს, სხივი სტუორცნა ჩაწნა,
ერის სამსხვერპლოს სხივ-გაშლილი მთელი სიკოცხლით დაადნა.
გულჩახრჩობილი დუდუნებს, მტკვარი გულ ლახვარ სობილი,
რიონი მკვნესარ ვეფხის თქმით შავშია გამოწყობილი.
ყვირილა ვიწრო კლდეთ შორის, ნაღველს აგუბებს მწარესა,
„აქ დაიბადა ჩემს მკერდზე, აქ მოკვდა ამავ მხარესა.
მგოსანი ერის დიდება, ერის სიკოცხლეთ შლილია,
უკვდავ შვენებს ვეარეგანით შემკული შემოსილია.“
მყინვარი სირმის თეირი თმით, ჯალარათ უხუცესია,
შავ ღრუბლის ლეჩაქს იბურავს, ვით მგლოვიარეთ წესია.
კვნესა, მწარ მოთქმით ქვითინა, სიხლის ცრემლ-ბის-ღვარია,
ტანჯულ ერს გულზე ლახვარი.. იქვე წამების ჯვარია..

2.

ყვავილი ნაზათ ირხევა, ბროლის თითები სწვდებიან,
კოლხეთის ტურფა ასულნი თეირ კუბოს უმწკრივდებიან.
შუა დგას დედა ქართველისა ცრემლით ბანს ყვავილთ კონებსა,
უკუღმართ წამთა დენანი წარსულ დღეთ მოაგონებსა.
კრეფენ ყვავილებს ასულნი სხივებს იბერენ ნაკთა,
სხივის ქნარსთავს ხმაროობენ გვირგვინის დასაწნავთა.
ყვავილთ გულ-მკერდზე ნაზი ხმა იშლება ციურ ეღერისა,
ლოცვა გამეფა თეირ კუბოს ზენარსთ ბედის წერისა.
ყვავილი ნაზათ ირხევა, ბროლის თითები სწვდებიან,
კოლხეთის ტურფა ასულნი თეირ კუბოს უმწკრივდებიან.
თავს ადგას დედა ქართველისა, შუბლს უკვდავება ჰფენია,
და კუბო ასულთ შვენებას ყვავილით მოუფენია.

**ლადო მაჭავარიანი.**

ქუთაისი, 27 ივნარი.

# ცრემლის სიმი.

—:—

აქვითინდი ტანჯვის მხარეე, დაიფინე შავი ფარდა,
აღარ არის ვინც გეტრფოდა! აღარ გყავს, ვინ გიყვარდა!
... ისევ ძაძა... გლოვა... ვიმ... ცრემლი... კვნესა... შავი ფლასი...
რომელს ვუთხრით ცვ ს.ბ.ერ? ვინღა გვრჩება მისი ფასი?!.
სევდის ნისლი წარბშეკმეხვნელის მოხვევია კაკაციონს
და კოლხეთი ცრემლში უნდა, რომ დაარჩინ მშფოთვარ რიონს,
ალაზანს და მკვნესარ ირონ შეკვითინებს გლოკეთ მტკვარი,
ქრთვლ ს დედას შავ ძაძაზე დასდენია ცრემლის ღვარი.
სირ კვნესის... ტყე ქვითინობს... წყალი სტირის... ჰკმნავს ქარი...
ვიმ... კვნესა... ცრემლი... ურვა... ძაძა... ფლასი... გლოვა... ზარი!..

ქართლის დედავ, კვნესის ჰანგად შეიცვალე ივე-ნანა!
იქვითინე საქართველო! იქვითინე ცაც, ქვეყანა!
ზეცა ცრემლით იბურება, იალქუნის მთა ხანზარებს;
ქართლოსის ძეკ, სევდის ცრემლი შეუფრთხე გლოვის ზარებს.

მე რაღა ვთქვა... მწარე სევდის მომხვევია გარს ბუნდ-ბი...
ტანჯვის ცეცხლში ფიქრი იწვის... ცრემლების ზღვათ ვიწურე?...
რა ვიცოდი მე ბედკრულმა... ოჰ, ცხოვრება წამიერი...
ვისაც გუშინ ვეგალობე შვ?ით „მრავალ ეამიერი“,
ვის მორჩენის შეეხროდი, იეოცხლებდა კვლავ მეგონა,
იგი მოკვდა... აღარა მყავს... კუბოს ფიცარს ჩაეკონა.

**სიმ. წეველი.**

# თ. აკაკი წერეთელი.

ქართულ რეალურ ლირიზმის საუკეთესო წარმომადგენელი თ. აკაკი წერეთელი.

თუ განვბავთ გიგოთ, რა განსხვავება არის რომანტიულისა და რეალურის ლირიზმის შორის, აიღეთ ბარათაშვილის ლექსები და შეადარეთ აკაკი წერეთლის ლექსებს. ბარათაშვილი ისეთ გრძნობათა შესახებ ლაპარაკობს, „რომელთა გამოთქმაც მოკვდავთ ენითა არა ძალუძთ“, ისეთი გრძნობებით არის გამსჭვალული, „რომელთა სახელი კაცთა ვერ დასდვან“. მისი ფიქრები „ლაჟვარდის ცისკენ ნ მიისწრაფვიან და მის იქით ეძიებენ სიდაურს, მაგრამ იქამდის ვერ მიიღწევენ და ბაღ-შვე განიბნევიან“. ბარათაშვილს „გულ დახარულთა მეგობარი“ ბუნება უყვარს და „სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკუთაც და უსულთ შორის“ და ამიტომაც განმარტოებულს ფრიალო კლდეზე მდგარის ალვის ხის ფოთლების შიანოთა სმენა იცის და მრავალ დროის მოწამე, უტყვის მტკვრის ბუტბუტს მიაშურებს სევდიანი, ფიქრთ გასართველად“. ბარათაშვილი სულით მარტოობას დასტირის, უმაღლესის საოწარკვეთილებით ღისავსე, პირად, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ, არა ჩვეულებრივ გრძნობათა გვიახავს საოცარი ნიკით, ერთი სიტყვით, ბარათაშვილს პოეტი ზეკაცად, არა ჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნია, პოეზია კი ღვთის „ტაძრად, შესაფერად, უდაბნოდ მდგარად, სად ენთო მრავალ უკრობელი ზმანდა ლამპარი, ანგელოსთაგან იკურთა სად დავითის ქნარი და [illegible]ისმოდა ციურთ დასთა გალობის ზა[illegible]

თ. აკაკი წერეთელი პოეტია და პოეზიას სულ სხვა ვეარი [illegible] ტი ის ფუტკარია (ეს ეპიტეტი ძლიერ ეუყარს აკაკი წერეთელს და ხშირადაც ხმარობს), დიდ, პოეტი „ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მფრინავს, სამუშაოდ, მიიმღერის უბარია! ყვავილიდან ყვავილზე გადაბზრიის. აქაც წუწნის, იქაც წოწნის. სათაფურ-სანილო მასალასა, არ იზი